

საიდ. №72817/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 55-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ბ., დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდიგნობით განიხილა კომპანიის „ბეიკი ფოტონ მოტორ კო., ლტდ“ („BEIQI FOTON MOTOR CO., LTD“) (ჩინეთი) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის №17/03 ბრძანების ბათილად ცნობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „FOTON“ (საიდ. №72817/03) დარეგისტრირება 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის №17/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის

დაკვირვის თანახმად, განცხადებული ნიშანი „FOTON“ მსგავსია კომპანიის „ნემიროფ ინტელექტუალ პროპერტი ისტებლიშმენტ“ (Nemiroff Intellectual Property Establishment) სახელზე საქართველოში რეგისტრირებული ნიშნისა „VOTON“ (რეგისტრაციის თარიღი: 29/12/2008წ., რეგისტრაციის №19026) 35-ე კლასის მომსახურების მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დაკვირვის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. ნიშნებს შორის ერთადერთ სხვაობას წარმოადგენს პირველი ასო, (განცხადებულ ნიშანში "F", ხოლო დაპირისპირებულ ნიშანში "V"), რაც სასაქონლო ნიშნებს არ ანიჭებს საკმაო განმასხვავებელუნარიანობას, რადგან ასო "F" და "V" აღრევამდე მსგავსია ჟღერადობით და ამასთანავე, დანარჩენი ოთხი ასო "I" თ "O" იდენტური აქვთ. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ბეიკი ფოტონ მოტორ კო., ლტდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგი გარემოებების გამო:

აპელანტის განმარტებით, განმცხადებელს და დაპირისპირებული ნიშნის მფლობელს შორის დაიდო ხელშეკრულება თანაარსებობის შესახებ, რომლის მოქმედება ვრცელდება მათ შორის საქართველოზეც. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი არ არის წინააღმდეგი, რომ „ბეიკი ფოტონ მოტორ კო., ლტდ“-ს სახელზე დარეგისტრირდეს განცხადებული ნიშანი, რადგან კომპანიები მოქმედებენ (მუშაობენ) სხვადასხვა სფეროებში და მათი ნიშნები არ არიან იმდენად მსგავსი იმისათვის, რომ შიიყვანონ მომხმარებლები შეცდომაში. ამის დასადასტურებლად დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა გასცა თანხმობის წერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის №17/03 ბრძანების ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო

ნიშნის „FOTON” (საიდ. №72817/03) დარეგისტრირებას 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან თრივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის განსხვავებას მხოლოდ ერთი ასო, „F” წარმოადგენს, რაც ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ფოტო”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „გოტო”. ამასთან, „ფ” და „გ” თრივე ყრუ თანხმოვანთა რიცხვს მიეკუთვნება და თრივე ერთანირ ბგერად ისმინება. მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 35-ე კლასის საქონლის ჩამონათვალიც. ამასთან, მართალია, მხარემ წარმოადგინა თანხმობის წერილი და თანაარსებობის ხელშეკრულება, მაგრამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რათა არ მოხდეს მათი მხრიდან სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში ნიშნებს შორის არსებობს იმდენად დიდი ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება, რომ შესაძლებელია მოხდეს მომხმარებლის მხრიდან სასაქონლო ნიშნების აღრევა და შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ

არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეყნის დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეყნის დადგენილი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ბეიკი ფოტონ მოტორ კო., ლტდ“ („BEIQI FOTON MOTOR CO., LTD“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის №17/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის გადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

გ. ბ.

დ. ჭიჭინაძე

